2021
წლის
ანგარიში
ქალთა ფონდი
საქართველოში

თანადირექტორი

2021 წლის 1 სექტემბრიდან, ფონდის თანადირექტორად სალომე ჩაგელიშვილი დაინიშნა. სალომე ერთი წლის განმავლობაში, მოქმედ დირექტორთან, ნანა ფანცულაიასთან ერთად უხელმძღვანელებს ფონდს, ამ ვადის ამოწურვის შემდგომ კი გააგრძელებს დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას და სრულად გადაიბარებს ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ფუნქციას.

სალომე ქალთა ფონდს 2017 წელს, პროგრამების კოორდინატორის პოზიციაზე შემოუერთდა.

საგრანტო პროგრამები

01 ქალთა შრომითი უფლებების დაცვა საქართველოში

02 ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვა 2021

03 სათემო გრანტები

04 ქალთა უფლებები და გარემოსდაცვითი სამართლიანობა

05 სტრატეგიული გრანტები ქალთა და ტრანს აქტივისტური ჯგუფებისთვის - COVID-19

06 ქალთა უფლებებისა და ქალთა უფლებების აქტივისტების დაცვა

07 საქართველოში ფემინისტური მოძრაობის განვითარების ხელშეწყობა

08 ღია კარი

09 ოპერაციული გრანტები

10 ფემინისტური ლანდშაფტი საქართველოში

ქალთა შრომითი უფლებების დაცვა საქართველოში

საგრანტო კონკურსის მიზანია, მხარი დაუჭიროს ისეთ ინიციატივებს, რომლებიც ემსახურება: ქალთა გაძლიერებას, ქალთა შრომით უფლებებზე ცოდნის ამაღლებასა და ადვოკატირებას, ამ საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის, პრაქტიკების, შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შეცვლას.

ამ კონკურსით დაფინანსებული 7 პროექტის ფარგლებში:

მოხდა მომსახურების სფეროში დასაქმებულ ქალთა უფლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება იმერეთის მუნიციპლიტეტებში.

ამავე რეგიონის თორმეტივე მუნიციპალიტეტში განხორციელდება შრომითი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის საჭირო აქტივობები.

გაიზრდება შრომითი უფლებებისა და ვალდებულებების, სამუშაო ეთიკისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობა დასაქმებულ ქალებსა და დამსაქმებელთა შორის;

შეისწავლება და შეფასდება ქვემო ქართლის შვიდივე მუნიციპალიტეტის გენდერული პოლიტიკა, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.

ხელი შეეწყობა შრომით ურთიერთობებში გენდერული დისკრიმინაციის და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრას.

წაიკითხე ვრცლად

შრომით უფლებებზე ქალთა ფონდი ბოლო წლებში აქტიურად მუშაობს და გრანტების გაცემის გარდა, თავადაც ერთვება ისეთ აქტივობებში, რომლებიც მიზნად ადვოკატირებასა და ცნობიერების ამაღლებას ისახავს.

2021 წელს, ასეთი აქტივობები იყო:

WECF Georgia-სთან თანამშრომლობით, ევროკავშირის მხარდაჭერით და გურიის, რაჭისა და კახეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და ადვოკატირებაში ტრენერთა ტრენინგის ჩატარება;

საინფორმაციო ვიდეოების, კომიქსებისა და ილუსტრაციების მომზადება;

ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვა 2021



პროგრამა მიმართულია:

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ქალთა ცოდნისა და უნარების ამაღლებაზე;

ქალთა გაძლიერებაზე;

ამ საკითხების მიმართ არსებული პოლიტიკის, პრაქტიკების, შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შეცვლაზე;



სექსუალურ უფლებებზე მომუშავე ქალი უფლებადამცველების ქსელური მუშაობის გაძლიერებასა და დაცვაზე.



პროგრამის ფარგლებში 6 პროექტი დაფინანსდა, რომლის ფარგლებშიც გრანტის მიმღებები:

ხელს შეუწყობენ მიუსაფარ ბავშვთა ხელმისაწვდომობის გაზრდას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებებზე: მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების ინფორმირებულობისა და მგრძნობელობის გაზრდით; მიუსაფარი ბავშვების სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით; რეფერირების სისტემის დახვეწით.

ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ დახმარებას აღმოუჩენენ დისკრიმინაციის/ძალადობის მსხვერპლ ან სხვაგვარი უფლების დარღვევის მქონე გოგოებსა და ქალებს.

აჭარის გოგონათა ახალგაზრდული გუნდის მეშვეობით აღმოაჩენენ მუნიციპალიტეტებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დარღვევის შემთხვევებს და ჩაწერენ პოდკასტებს.

მაღალმთიან აჭარაში მცხოვრებ ქალებსა და გოგოებს ამომწურავ და სანდო ინფორმაციას მიაწოდებენ გრძელვადიანი და მუდმივი კონტრაცეფციის თანამედროვე საშუალებების, ოჯახის დაგეგმარების, ორსულობის, მისი უსაფრთხო და ლეგალური შეწყვეტის მეთოდების, სამედიცინო მომსახურების სტანდარტებისა და პაციენტთა უფლებების შესახებ; საზოგადოების ყურადღებას მიმართავენ ამ საკითხების მიმართ პოლიტიკის დონეზე არსებულ პრობლემებზე, განათლების სისტემაში არსებული ინფორმაციული სიმწირესა თუ ჯანდაცვის სერვისების გაუმართაობის ნეგატიურ შედეგებზე. ამავე პროექტის ფარგლებში მაღალმთიანი აჭარის 20 სოფელში დაორგანიზდება გინეკოლოგთან შეხვედრებიც.

მოამზადებენ სახელმძღვანელოს პერსონალური მონაცემების დაცვის და პანდემიით შექმნილი ახალი რეალობის შესახებ.
გაზრდიან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ მცირემხედველი გოგონებისა და ქალების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.
უზრუნველყოფენ 80 სოციალურად დაუცველი ქალისთვის უფასო გინეკოლოგიური გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის პროცესში დახმარებას.

წაიკითხე ვრცლად

საოთემ
გრანტები

ეს პროგრამა ფონდმა იმერეთში, კახეთში, რაჭასა და გურიაში არსებული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის გამოაცხადა.
დაფინანსებული 15 საგრანტო პროექტის ფარგლებში მოხდება:

იმერეთში

ქალი მეწარმეების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
5-დან 30-წლამდე გოგოების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ჩართულობისთვის შესაბამისი უნარების გამომუშავება;
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მოძრაობის განვითარება, მათი პოლიტიკური მონაწილეობის წახალისება და გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების გაზრდა.
შრომითი უფლებების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება დევნილი და ეკომიგრანტი ქალებისთვის.

რაჭაში

ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დასაქმების საჭიროების მქონე ქალების დახმარება სამეწარმეო პროდუქტის შექმნაში;
ქალთა სამოქალაქო ჯგუფების შესაძლებლობების ზრდა.

კახეთში

ლაგოდეხის მუნიციპალტეტში სოფლად მცხოვრები ქალების ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში ჩართვა;
სოფელ ყარაჯალას თემში მცხოვრები 18-დან 40 წლამდე ასაკის ქალების ცნობიერების ამაღლება და მათი სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდა;
პანკისის ხეობის ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა;
ქისტი და ქართველი ახალგაზრდების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

გურიაში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანისა და მზიანის მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე;
გოგოების STEM მიმართულებით დაინტერესება და გაძლიერება. პროექტის ფარგლებში გურიაში, რაჭასა და იმერთში მცხოვრები 10 გოგო გახდება მეცნიერების ელჩი, რომლებიც თავიანთ სოფლებში მოსწავლე გოგოებს აღუძრავენ ინტერესს STEM საგნების მიმართ;
გოგოების, მათ შორის შშმ გოგოების სათემო აქტივისტებად მომზადება;
ოზურგეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელ ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება;
დაბა ნასაკირალში მცხოვრები ქალებისთვის ქართული, ინგლისური ენის და კომპიუტერის საბაზისო კურსის შეთავაზება.

წაიკითხე ვრცლად

ქალთა უფლებები და გარემოს დაცვითი სამართლიანობა

ამ თემატიკის საგრანტო კონკურსი 2021 წელს ორჯერ გამოვაცხადეთ და ჯამში 28 გრანტი გავეცით. პროგრამის მიზანია სოციალურ და გარემოსდაცვით სამართლიანობაზე მომუშავე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქალთა არაფორმალური ჯგუფების წახალისება, თავიანთი ძალისხმევა მიმართონ ქალების მიერ ბუნებრივი რესურსების მართვაზე, უპასუხონ სოციალურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს, იქნება ეს კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნება, გარემოს დაბინძურება, ქიმიური უსაფრთხოება, ნარჩენების მართვა, ქალთა უფლება უსაფრთხო, სუფთა და ჯანმრთელ გარემოზე და სხვ.

დაფინანსებული 28 პროექტის დიდი ნაწილი გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად. მათ შორისაა: ფოთლების წვის მავნე შედეგები; კომპოსტირების მექანიზმები; ორგანული სასუქის სარგებლიანობა; გლობალური და ლოკალური ეკოლოგიური საფრთხეები; ადგილობრივი ხელისუფლების როლი მწვანე საკითხების მოგვარებაში; გარემოს დაბინძურება; ჰაერის დაბინძურება; ნარჩენების გადამუშავება; სათბურებში ქიმიური ტოქსიკურობის შემცირება; ჩეჩმების ჩანაცვლების აუცილებლობა ე.წ. ბიო ტუალეტებით; ენერგოეფექტურობა (მოხერხდა სამი სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის და რამდენიმე მარტოხელა დედისთვის ენერგოეფექტური ღუმელის შეძენა)

ასევე, დავაფინანსეთ:

რუსთავის, როგორც „საწარმოო ქალაქის“ მაცხოვრებელი ქალების საჭიროებების და მათ სიახლოვეს არსებული მსხვილი საწარმოების გავლენების კვლევა;

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სფეროში მომუშავე ქალთა გაძლიერება;

ფოთში, ნავსადგურის მიმდებარედ მაცხოვრებელთა (უმეტესად, ბავშვების) სისხლში მძიმე მეტალების რაოდენობის კვლევა;

ერთი მზის სადგურის მონტაჟი;

მწვანე სივრცეებში ქალთა საჭიროებების გამოვლენა და დაგეგმარებასა და განახლებაში ქალთა ჩართულობის ხელშესაწყობად რეკომენდაციების შემუშავება;

ესპერიმენტული ცეკვის მოკლემეტრაჟიანი ფილმის საშუალებით, ეკოლოგიური და გენდერული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

წაიკითხე ვრცლად

სტრატეგიული გრანტები ქალთა და ტრანს აქტივისტური ჯგუფებისთვის – COVID-19

ეპიდემიის გამო კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩენილ ქალთა ან/და ქვიარ ჯგუფების მხარდასაჭერად ქალთა ფონდმა საგრანტო კონკურსი “სტრატეგიული გრანტები ქალთა და ტრანს აქტივისტური ჯგუფებისთვის - COVID-19“ გამოაცხადა.

დაფინანსებული 6 პროექტი მიზნად ისახავს:

შექმნას სივრცე, სადაც ქვიარ თემის წარმომადგენლები შეძლებენ გააზიარონ საკუთარი გამოცდილებები და მიიღონ ცოდნა სასურველ საკითხებზე;
მეტად განავითაროს ქალების ციფრული უნარები ზუგდიდის მუნიციპალიტეტში;
დააარსოს ქვიარ ხელოვნების ვებ-პლატფორმა Project Fungus, რომელიც თავს მოუყრის ქართველი ქვიარ/ფემინისტი არტისტების ძველ და ახალ ნამუშევრებს;
შექმნას უსაფრთხო სივრცე სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის, სადაც მოეწყობა თვითზრუნვის და სარელაქსაციო ღონისძიებები, ინტეგრირებული უსაფრთხოების სესიები, ფიზიკური თავდაცვისა და ციფრული უსაფრთხოების ვორქშოფები;
გაზარდოს ვაქცინირებულთა რაოდენობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში და საზღვრისპირა სოფლებში.

წაიკითხე ვრცლად

ქალთა უფლებებისა და ქალთა უფლებების აქტივისტების დაცვა

საგრანტო კონსურსი მიმართულია იმ ფემინისტური და ქალთა ორგანიზაციების გასაძლიერებლად, რომლებიც ქალთა უფლებების დაცვისა და სისტემური ცვლილების მისაღწევად მუშაობენ საქართველოს რეგიონებში.

ფონდის დაფინანსება 6 ორგანიზაციამ მიიღო. ისინი:

შექმნიან ადგილობრივ თვითმმართველობებთან დაკავშირებულ ორგანოს „შშმ ქალთა საბჭოებს“, შშმ ქალთა საკითხების მოსაგვარებლად ადგილობრივ მუნიციპალიტეტში და მათი უფლებების დასაცავად;

უზრუნველყოფენ თემში მცხოვრები ქალებისთვის უფასო იურიდიულ კონსულტაციებს; ჩაატარებენ რეგიონალურ (სამეგრელო-ზემო სვანეთი) ფორუმს თემაზე ,,მე ფემინისტი ვარ''; ფემინისტური პლატფორმის წევრების ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას;

პროფესიულად გააძლიერებენ რეგიონში მცხოვრებ ქალ ფეხბურთელებს; ხელს შეუწყობენ მათი უნარების გაუმჯობესებას სამწვრთნელო პოზიციებზე.

წაიკითხე ვრცლად

საქართველოში ფემინისტური მოძრაობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა მიზნად ქალთა გაძლიერებას და ფემინისტური მოძრაობის განვითარების ხელშეწყობას ისახავს. ის გამოცხადდა ქალთა ფორმალური, არაფორმალური ჯგუფების და ქსელებისთვის, საქართველოს დედაქალაქიდან და რეგიონებიდან.

ფონდმა 7 პროექტი დააფინანსა, რომელთა ფარგლებშიც დაიწყო:

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკური გააქტიურება და გაძლიერება;
სექსუალური ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მისი პრევენცია ახალგაზრდებში;
გორში მცხოვრები ახალი ფემინისტი აქტორების გაძლიერება და მათთან თანამშრომლობით ფემინისტური ქსელის გაფართოებაზე მუშაობა;
ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების გაძლიერება, მათი შესაძლებლობების გაზრდა, საკუთარი თავის რწმენის და პოტენციალის აღმოჩენა და განვითარება;
სპექტაკლ „სახლობანას“ კომიქს ვერსიის შექმნა, რომელიც ოჯახში ძალადობის და გენდერული სტერეოტიპების შესახებ, ფონდისვე დაფინანსებით არაერთხელ დაიდგა;
აჭარის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდა ქალების ცოდნის გაღრმავება პროფესიების და პროფესიებში არსებული პრობლემების, ასევე პროფესიული სტერეოტიპების შესახებ.

წაიკითხე ვრცლად

ფემინისტური ლანდშაფტი საქართველოში

პროექტი „ფემინისტური ლანდშაფტი - სამოქალაქო საზოგადოების დიალოგი ყველა ხმის ჩართულობით" უკრაინის, პოლონეთის, სომხეთისა და საქართველოს ქალთა ფონდებმა, გერმანული ქალთა ფონდ ფილიას და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით დაიწყეს. მისი მიზანია ქალთა/ფემინისტურ მოძრაობებში მეტი ინკლუზიურობის შემოტანა და მარგინალიზებული ქალთა ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა.

ქალთა ფონდმა პროგრამის ფარგლებში 4 გრანტი გასცა:
საინიციატივო ჯგუფი „ლესბოსური წინააღმდეგობის" ამავე სახელწოდების პროექტის მიზანია ლესბოსური წინააღმდეგობის გაძლიერება - სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა; ცოდნის გაზიარება ჯგუფის შიგნით; თვითზრუნვის პრაქტიკების დამკვიდრება; თემის წევრებში ქვიარ ფემინისტური იდეების გავრცელებისათვის ვირტუალური და ცოცხალი სივრცეების შექმნა.
მრავალფეროვანი საქართველოს ქალები ეცდებიან ქალების უხილავი და გაუჟღერებელი გამოცდილებების, დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების შესწავლას და თაობათა შორის დიალოგის ხელშეწყობას ქალთა ზეპირი ისტორიების შეგროვებითა და მათი ფემინისტური ანალიზით.
შშმ ქალთა ალიანსი აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ შშმ ქალთა და გოგონათა გაძლიერებაზე 8 თვის განმავლობაში იმუშავებს და ხელს შეუწყობს მათი ჩართულობის გაზრდას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში
მრავალფეროვანი და თანასწორი საქართველო კახეთში, აჭარასა და ქვემო ქართლში მუსლიმი ქალების საჭიროებების თვისობრივ კვლევას ჩაატარებს და გამოკვეთს საქართველოში მცხოვრები მუსლიმი ქალების რეალურ საჭიროებებს და შემდგომ შესაძლებელს გახდის ინკლუზიური ფემინისტური დღის წესრიგის შედგენას.

ღია კარი

დაფინანსებული ერთი პროექტი სკოლის მოსწავლეებში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად.

ოპერაციული გრანტები

2021 წელს ქალთა ფონდმა პირველად გასცა ძირითადი ოპერაციული მხარდაჭერის გრანტები.

ეს არის შეუზღუდავი, მოქნილი საგრანტო პროგრამა და განსაზღვრულია გრანტის მიმღების მთლიანი, ორგანიზაციული მხარდაჭერისთვის და არა კონკრეტული პროექტული დაფინანსებისათვის. საგრანტო პროგრამა ემსახურება გრანტის მიმღები/პარტნიორი ორგანიზაციის განვითარების ეფექტური შესაძლებლობის შექმნასა და გრძელვადიანი შედეგების მიღწევას.

ამ ეტაპზე გავეცით 3 გრანტი:
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სრული და ეფექტური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობისთვის;
ფემინისტური პრაქტიკებისა და სათემო შეჭიდულობის ხელშესაწყობად;
ძირითადი ოპერაციული მხარდაჭერის გრანტი უხუცეს ქალთა საბჭოსთვის.

კატო მიქელაძის პრემია 2021

კატო მიქელაძის ჯილდო წელს სამ უფლებადამცველ ქალს: ბაია პატარაიას, ელისო რუხაძესა და თოზუ გულმამედლს გადაეცათ. სამივე მათგანს კავშირი „საფარი“ და ქალთა უფლებებისთვის გაწეული შრომა და ბრძოლა აერთიანებთ. პრემიაზე ნომინირებულები იყვნენ: ესმა გუმბერიძე, ლეილა სულეიმანოვა, ლიკა წულეისკირი, მერი არხოშაშვილი, ნინო ბაისონაშვილი, რუსა სახეჩიძე და ქეთევან შუბაშვილი.

პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ე ბ ი

მლხენელების საკითხავი

2021 წელს ფონდმა დაიწყო მუშაობა უსაფრთხო, ჰარმონიული სივრცეების შესაქმნელად ფემინისტი აქტივისტების, სხვადასხვა სოციალური მოძრაობის წარმომადგენლებისა და ქალი უფლებადამცველებისთვის.

ამ მიზნისკენ გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო სოციალური ტრანსფორმაციის მხარდამჭერი და მებრძოლი ადამიანებისთვის „მლხენელების საკითხავის“ შექმნა. საკითხავს შვიდი ავტორი ჰყავს: თამთა მელაშვილი, სალომე ჩაგელიშვილი, ნათია გვიანიშვილი, ნინო ხარჩილავა, მარიამ გაგოშაშვილი, ირა სილანტევა და ლუიზა ლაფერაძის ილუსტრაციებითაა გაფორმებული.

დალხენა კოლექტიური ტრავმებისგან გათავისუფლების სტრატეგიაა. მისი პრაქტიკების შესახებ ფონდმა ტრენერთა ტრენინგსაც უმასპინძლა.

გზამკვლევი – გენდერული თანასწორობა და გარემოსდაცვითი სამართლიანობა

დღეს ფემინისტების უმრავლესობა თანხმდება, რომ ბუნების განადგურება განსხვავებულად ეხება ჩაგრულ ჯგუფებს - მეტად აზიანებს მათ და ართულებს თანასწორობისთვის ბრძოლას. ნუკრი მაია ტაბიძისა და მანანა ქოჩლაძის მიერ მომზადებულ გზამკვლევში საუბარია გარემოსდაცვითი სამართლიანობის და ფემინიზმის თანაკვეთაზე.

გზამკვლევის პრეზენტაცია, პანდემიის გამო, ფონდმა ონლაინ გამართა. დამსწრეებს ავტორებმა უფრო დაწვრილებით აუხსნეს, თუ რა კავშირშია ქალების უფლებები გარემოს დაცვასთან.

ქალთა საბიუჯეტო ადვოკატირების გზამკვლევი

კიდევ ერთი გზამკვლევი, ამჯერად ქალთა გაძლიერების მიზნების განსახორციელებლად საბიუჯეტო თუ არასაბიუჯეტო დაფინანსების მოპოვების საშუალებების შესახებ შეიქმნა. მასში მოცემულია საბიუჯეტო ადვოკატირებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა წყარო.

ჩამონათვალი და მოკლე მითითებები, როგორ შეიძლება ქალებმა ეს წყაროები გამოიყენონ.

სიტუაციის ანალიზი

ელენე ქაიხოსროშვილმა შეისწავლა კოვიდ-პანდემიის გავლენა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უფლებებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაზე.

სახელმძღვანელო – სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

სრჯუ ანუ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები ქალთა ფონდისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ფონდს სრჯუ ადვოკატთა ჯგუფი ჰყავს, რომელიც ორგანიზაციას ამ მიმართულებით საქმიანობის სწორად წარმართვასა და სხვადასხვა აქტივობაში ეხმარება.

მათი მუშაობის ერთ-ერთი ბოლო შედეგია სახელმძღვანელო „სექსუალური და რეპროდუქცული ჯანმრთელობა და უფლებები“.

დოკუმენტი განკუთვნილია მათთვის, ვისაც გავლილი აქვს სრჯუ საკითხზე ტრენერთა ტრენინგი და სურს, თავად ჩაატაროს საგანმანათლებლო აქტივობები ამ თემატიკაზე.

ფემინსტრიმი

2021 წელს ფემინსტრიმის პოდკასტების 2 ახალი სეზონი შეიქმნა.

ქალთა შრომითი უფლებებისთვის მიძღვნილ სეზონს 4 ავტორი ჰყავდა.

მისთვის ვიდეო პოდკასტებს ალა პარუნოვა, ლელა გვიშიანი, მეკო ჩაჩავა და ნუკრი ტაბიძე ამზადებდნენ. თემები ამავე თანმიმდევრობით, ეხებოდა: ეკონომიკასა და მისგან ჩაგრული ჯგუფების გარიყვას; დეკრეტული შვებულების, შშმ ქალთა შრომითი უფლებების, გარემოვაჭრე და მძიმე ინდუსტრიაში ჩართული ქალების მდგომარეობას; ემიგრანტი ქალების პრობლემებს და შრომითი მიგრაციის შედეგებს; უხილავ შრომას.

აუდიო პოდკასტების შემდეგი სეზონის თემა კი „გენდერი და შეზღუდული შესაძლებლობები“ იყო. ანა ქათამაძე, მარიამ დარბაიძე, ირა სილანტევა, სალომე მიქაძე და ესმა გუმბერიძე, საკუთარი ცოდნისა და ხშირად, პირადი გამოცდილებით საუბრობდნენ, თუ როგორ ართმევენ შშმ ქალებს საკუთარ სექსუალობასთან დაკავშირებული თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებას;

სამედიცინო მოდელიდან სოციალურ მოდელზე გადასვლაზე; დეპრესიასა და ადიქციაზე; შშმ ქალებისთვის არსებულ ბარიერებსა და სტიგმაზე; შშმ ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაზე და გამოწვევებზე ატივიზმში.

დეკრეტული შვებულება – არაადაპტირებული გარემო

დეკრეტული შვებულების ანაზღაურება დედების გაზრდილ საჭიროებებს იშვიათად ყოფნის;
სამუშაო ადგილებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ძუძუთი კვებაზე მორგებული გარემო იშვიათად გვხვდება;
ამ და სხვა სირთულეების გამო, ქალებს ხშირად უწევთ არჩევანი გააკეთონ ლაქტაციის შეწყვეტასა და სამსახურიდან წამოსვლას შორის.

შევიწროება სამუშაო ადგილზე

ხშირად, ადამიანები ვერც აცნობიერებენ, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლები არიან ან ამაზე ღიად საუბარს ერიდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემთხვევები ხშირია, განსაკუთრებით შრომით ურთიერთობებში.
2019 წლამდე სექსუალური შევიწროების დეფინიცია კოდექსში არ არსებობდა.
2020 წლიდან სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების საკითხებზე შრომის ინსპექცია მუშაობს, რომელსაც ჯარიმის გამოყენების საშუალება აქვს.

დეკრეტული შვებულება – კანონმდებლობა

დღევანდელი კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს დედობის უფლების დაცვას და ღირსეულ დეკრეტულ შვებულებას. ქალებისთვის ოჯახური და სამსახურეობრივი ვალდებულებების შეთავსება კვლავაც დიდ გამოწვევად რჩება.
დეკრეტული შვებულების 6 თვის მანძილზე, დედები სახელმწიფოსგან იღებენ მხოლოდ 1000 ლარს ჯამში. თანხის სიმცირის გამო, ქალები ვერ ახერხებენ სრულად ისარგებლონ ამ დროით და იძულებულნი ხდებიან, სამსახურებს დაუბრუნდნენ რაც შეიძლება მალე, 10 დღეში ან 2 კვირაში.

გაფიცვა

სოფომ და მისმა 20-მდე თანამშრომლმა ქალმა, ხელფასის სისტემატურად დაგვიანებისა და სხვა შრომითი პირობების დარღვევის გამო, პროფკავშირებს მიმართა და დამსაქმებელ კომპანიასთან სამედიაციო პროცესი დაიწყო.

მენოპაუზა

მენოპაუზას, ისევე, როგორც ბევრ სრჯუ-სთან დაკავშირებულ საკითხს, ტაბუ ადევს და შესაბამისად, მასთან უამრავი სტერეოტიპია დაკავშირებული.

პირველი მენსტრუაცია

ტაბუს გამო, მენსტრუაციაზე სანდო და გადამოწმებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი არაა არასრულწლოვანებისთვის, რის გამოც მათთვის პირველი მენსტრუაცია ხშირად დამაბნეველი და სტრესული ხდება.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

ვიდეოში მოკლედაა ახსნილი, თუ რას გულისხობს და მოიცავს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები.



2021 წლის შემოსავალი:

3,226,515 ლარი

ხარჯი:

სულ – 3,215,450

გრანტები – 1,584,302

პროგრამები და ადმინისტრაცია – 1,631,148

დონორები და პარტნიორები

GLOBAL FUND FOR WOMEN
Champions for Equality.

OPEN SOCIETY FOUNDATIONS

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

OAK FOUNDATION

rfsu

mama cash
(she changes the world)

filia
die frauenstiftung.

SIGRID RAUSING TRUST

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

calala
Fondo de Mujeres

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

FENOMENAL FUNDS

DREILINDEN

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

ქსელები

Prospera
INTERNATIONAL NETWORK OF WOMEN'S FUNDS

ARIADNE
European Funders for Social Change and Human Rights

EDGE | FUNDERS ALLIANCE
ENGAGED DONORS FOR GLOBAL EQUITY

HRFN Human Rights Funders Network